რუსეთის ადამიანის უფლებათა საბჭოში საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებს მოუწოდეს, გამოვიდნენ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა დასაცავად

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 14.03.2023. 13 მარტს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის უფლებათა საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობის მუდმივმოქმედი კომისიის წევრებმა საერთაშორისო უფლებადამცველ და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებსა და მსოფლიოს რელიგიურ ლიდერებს მოწოდებით **მიმართეს**, „აღკვეთონ უკრაინის ხელისუფლების თვითნებობა და არ დაუშვან რუსეთის მართლმადიდებლობის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდის, რუსის სახელმწიფოს უძველესი მონასტრის – კიევ-პეჩერის ლავრის განადგურება“.

მიმართვის მიზეზი გახდა უკრაინის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციის – „ნაციონალური ნაკრძალი „კიევ-პეჩერსკაია ლავრა“ – ქმედებები: მისმა ხელმძღვანელობამ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მონაზვნებისგან მოითხოვა ლავრის ტერიტორიის დატოვება 2023 წლის

29 მარტამდე. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად დასახელდა თითქოსდა სამონასტრო კომპლექსით უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევა გახდა, თუმცა ნაკრძალი მსგავსი დარღვევების კონკრეტულ მაგალითებს დოკუმენტურად არ ასაჯაროებს.

„მრავალი საუკუნის მანძილზე კიევ-პეჩერის ლავრა იყო არა მხოლოდ სულიერი თავშესაფარი მილიონობით მორწმუნისთვის, არამედ ასევე სამი მოძმე მართლმადიდებელი ხალხის: რუსის, უკრაინელისა და ბელარუსის ერთიანობის სიმბოლო“, – ნათქვამია ადამიანის უფლებათა საბჭოში გაჟღერებულ მიმართვაში. რუსმა უფლებადამცველებმა დამსწრე საზოგადოებას შეახსენეს, რომ კიევ-პეჩერის ლავრა XI საუკუნეში დააარსეს ბერებმა ანტონიმ და თეოდოსიმ, რომლებიც რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. კომპლექსის ტერიტორიაზე განისვენებს რუსეთის ეკლესიაში განდიდებული 100-ზე მეტი მოღვაწე. მათ შორისაა რუსული ეპოსის გმირის ილია მურომეცისა და ბერი ნესტორ ჟამთააღმწერლის პატიოსანი ნეშტები, რომელიც პირველი რუსული წერილობითი ქრონიკის „გასული წლების ზღაპრის“ ავტორად ითვლება.

„აშკარაა, რომ ლავრის ბერების დევნა უკრაინის უმსხვილესი რელიგიური ორგანიზაციის, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის განადგურების პროცესის და მილიონობით მისი მრევლისთვის თავის ეკლესიაში ღმერთთან ურთიერთობის შესაძლებლობის ჩამორთმევის მხოლოდ ნაწილია“, – ხაზგასმულია მიმართვაში.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ეს პროცესი 2022 წლის დეკემბერში დაიწყო, როდესაც უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭომ მთავრობას დაავალა, უმაღლესი რადაში განსახილველად შეეტანა კანონპროექტი „რუსეთის ფედერაციის გავლენის ცენტრებთან აფილირებული რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის შეუძლებლობის შესახებ უკრაინის ტერიტორიაზე“. გარდა ამისა, ეთნოპოლიტიკისა და სინდისის თავისუფლების სახელმწიფო სამსახურს დაევალა ჩაეტარებინა „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციის დებულების რელიგიური ექსპერტიზა მოსკოვის საპატრიარქოსთან საეკლესიო-კანონიკური კავშირის არსებობის შესახებ“ და, საჭიროების შემთხვევაში „კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენება“.

მიმართვის ავტორები აღნიშნავენ, რომ უკრაინის ხელისუფლება „დიდი ხანია ცინიკური გულგრილობით აკვირდება თუ როგორ უწყობენ ხელს ადგილობრივი ლიდერები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ექსტრემისტული და ნაციონალ-რადიკალური აქტივისტების მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრების მიტაცებას“ და ადგილობრივ დონეზე მისი სამრევლოების საქმიანობის აკრძალვას. „ახლა კი საქმე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურებისა და ბერმონაზვნების განდევნამდე მივიდა მათი მთავარი სიწმინდიდადნ – თითქმის ათასი წლის ისტორიის მქონე მონასტრიდან, კიევ-პეჩერის ლავრიდან“, – ხაზს უსვამენ თავიანთ მიმართვაში ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრები.

მათ ასევე შეახსენეს, რომ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ **მიმართა** გაეროს და ეუთოს გენერალურ მდივნებს ანტონიო გუტერიშს და ჰელგა მარია შმიდს, რომის პაპ ფრანცისკეს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და რელიგიურ ლიდერებს მოწოდებით, „გამოიყენონ

ყველა შესაძლო ძალისხმევა მონასტრის იძულებით დახურვის თავიდან ასაცილებლად, რაც გამოიწვევს უკრაინის კონსტიტუციით გარანტირებული მილიონობით უკრაინელი მორწმუნის რელიგიური უფლებების დარღვევას, ასევე ისეთი დოკუმენტებით გარანტირებული უფლებებისას, როგორებიცაა როგორიცაა გაეროს წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ყველა ფორმის შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია და სხვა მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტი“.

„მოვუწოდებთ ყველა საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციას გამოვიდნენ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა უფლებების დასაცავად და აღკვეთონ უმე-ის მღვდლების გაძევება კიევ-პეჩერის ლავრიდან“, – ხაზს უსვამენ თავის მხრივ უფლებადამცველები. – ვიმედოვნებთ, რომ სხვადასხვა რელიგიური კონფესიის სულიერი ლიდერები უყურადღებოდ არ დატოვებენ უკრაინაში შექმნილ რელიგიურ საფრთხეს და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უმე-ის მრევლის თავისუფალი აღმსარებლობის უფლება ხელშეუხებელი დარჩეს მათ სავანეში“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90115/